საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. დ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ც. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.08.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 110/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ა.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 20 აგვისტოს საჩივრით მომართა მ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ა.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი ბინის შეძენით დაინტერესებულმა ვ. ფ.-მ ის მოატყუა, ბეს ხელშეკრულების ნაცვლად ხელი მოაწერინა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, აქვე იყო ჩანაწერი, რომ მან ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე მიიღო 4000 აშშ დოლარი. რეალურად ამ თანხიდან მიიღო მხოლოდ 2000 აშშ დოლარი,

დანარჩენი დაიტოვა მაკლერმა. ეს ხელშეკრულება მოპასუხე მხარემ 2015 წლის 16 მარტს დაარეგისტრირა. ბინის ყიდვა არ მომხდარა, რადგან რეალურად მხარეს ბინის საყიდელი თანხა არ ჰქონია.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ საქმიდან გამომდინარე 2015 წლის 05 ნოემბერს ადვოკატ მ. ა.-სთან გააფორმა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების თაობაზე. ადვოკატს მისი ინტერესები უნდა დაეცვა ყველგან, სადაც საჭირო გახდებოდა. კონკრეტულად, მას სურდა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ბეს სახით შეპირებული თანხიდან 4000 აშშ დოლარიდან დარჩენილი ნაწილის, 2000 აშშ დოლარის მიღება, რომელიც დაიტოვა მაკლერმა.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, ხელშეკრულების დადებასთან ერთად მან ადვოკატს გადასცა 700 ლარი. დამატებით, სასამართლოს ყოველი სხდომის წინ ადვოკატი მას სთხოვდა 100 ლარს. ამ გზით ადვოკატმა მისგან მიიღო 1400 ლარი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს სამართლებრივი მოთხოვნა სხვაგვარად უნდა დაეყენებინა. ადვოკატმა ვერ აირჩია საქმის წარმართვის სწორი მიმართულება, მან არ იცის დოკუმენტებზე მუშაობა. ადვოკატი არ უთითებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არის ყალბი და ცალმხრივი. ადვოკატმა არასწორად მიუთითა, რომ ვ. ფ.-მ ვერ შეასრულა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, შესაბამისად ხელშეკრულება უნდა მოშლილიყო და განხორციელებულიყო მიბმული ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაცია.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვ. ფ.-მ 2015 წლის დეკემბერში მოითხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა იმ საფუძვლით, რომ აღარ სურდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, რადგან თითქოს ნასყიდობის საგანი იყო ნაკლის მქონე, ავარიული. მან ქონებას დაადო ყადაღა და მისგან ითხოვს 3000 აშშ დოლარს და 56 ლარს, იმ საფუძვლით, რომ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში მითითებულია, თითქოს მან მიიღო 4000 აშშ დოლარი. ადვოკატს უნდა დაედგინა, რომ მათ შორის დაიდო არა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ ბეს ხელშეკრულება. ადვოკატმა მის ბინას ყადაღა ვერ მოხსნა. ადვოკატი საერთოდ არ შეეხო იმ თემას, რომ მისი ბინა არ იყო ავარიული.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატის თანხმობით შეიტანა განცხადება პოლიციაში, სადაც ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით საქმე ეკუთვნოდა სამოქალაქო სამართლებრივი დავის კატეგორიას. ამის გამო ვ. ფ.-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა.

1.8 2019 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ის არის მ. დ.-ს დედა. ადვოკატი აიყვანა თავად თავისი შვილის საქმეზე. ურთიერთობა ადვოკატთან ჰქონდა პირადად. ვ. ფ. და მამამისი მას გაეცნენ როგორც მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენები, შეთანხმდნენ ბინის ფასზე, მყიდველმა ბინა მოიწონა. რადგან იმ მომენტში თანხა არ ჰქონდათ, შეთანხმდნენ, რომ ბეს სანაცვლოდ ც. გ. დაელოდებოდათ 2015 წლის 30 აპრილამდე. შემდეგ შეხვდნენ იუსტიციის სახლში და მათ შორის ბეს ნაცვლად დაიდო წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ყველა ინსტანციის სასამართლომ მის საწინააღმდეგოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, მას დაეკისრა 3000 აშშ დოლარის გადახდა ვ. ფ.-ს სასარგებლოდ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ა.-მ 2019 წლის 11 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2015 წელს მასთან მივიდა მ. დ.-ს წარმომადგენელი ც. გ. და გადასცა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინების ასლი, ასევე მოკლედ მოუყვა სასამართლოში მიმდინარე დავის შესახებ. სარჩელით მხარე ითხოვდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში არ მიღების ერთ-ერთი საფუძველი იყო ის, რომ მხარეს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საქმის გაცნობის შემდეგ ის მხარეს შეუთანხმდა, რომ მოამზადებდა სარჩელს და მიმართავდა სასამართლოს. მასსა და ც. გ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. მან მოამზადა სარჩელი და ელოდებოდა სასამართლოს სხდომის ჩანიშვნას. ეს გრძელდებოდა დაახლოებით 2 წელი. ამ პერიოდში მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა კლიენტის წარმომადგენელთან და მას არაერთ სხვა საქმეზეც გაუწია მომსახურება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საქმის სირთულეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ არ იცოდნენ მოპასუხის ადგილსამყოფელი, ასევე კლიენტი მზად არ იყო გადაეხადა სახელმწიფო ბაჟის თანხა, რომელიც შეადგენდა 3000 ლარს. ამიტომ, კლიენტის წარმომადგენელთან შეთანხმებით, მან სარჩელი შეიტანა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რაც საშუალებას აძლევდათ მოპასუხე მხარე გამხდარიყო საჯარო რეესტრის სააგენტო, მოითხოვა ადმინისტრაციული აქტის ბათილობა, რისთვისაც სახელმწიფო ბაჟის თანხა შეადგენდა 100 ლარს.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში მითითებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულება და არა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება. მხარეს სურდა ამის შესწორება. ადვოკატმა ჯერ მიიღო მონაწილეობა იუსტიციის სახლში, საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვაზე. საჯარო რეესტრის ჩანაწერში ნასყიდობის ხელშეკრულების ნაცვლად ჩაიწერა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ დრო კლიენტის მოპასუხე მხარემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხელშეკრულების გაუქმება და ბეს თანხის, 3000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება. რეალურად მ. დ.-ს მიღებული ჰქონდა 2000 აშშ დოლარი, დანარჩენი 2000 აშშ დოლარი მიღებული ჰქონდა მაკლერს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა ვ. ფ.-მ - არ გადაიხადა ნივთის ღირებულება. ვ. ფ. უთითებდა, რომ ბინა იყო ნაკლის მქონე, ექსპერტიზის დასკვნით ბინას ჰქონდა ბზარები. მან, როგორც ადვოკატმა, ეს ყველა ფაქტი მიუთითა შესაგებელში. მართალია, მის კლიენტს ჰქონდა მომგებიანი პოზიცია, მაგრამ მას დავის წარმატებით დასრულების გარანტია არ მიუცია და განუმარტა, რომ გადაწყვეტილებას იღებდა სასამართლო.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტთან საუბრისას მას გაუჩნდა მოსაზრება, რომ კლიენტს კომუნიკაცია ჰქონდა სხვა ადვოკატთან, რომელიც არ აწარმოებდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს. ამიტომ კლიენტს შეუთანხმდა, რომ თუ მას ჰქონდა სურვილი, შეეძლო სხვა ადვოკატსაც მიეღო მონაწილეობა სასამართლოს სხდომებში. მართლაც, სხდომაზე კლიენტმა მოიყვანა თავისი ახლობელი ადვოკატი.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ მას დაურეკა კლიენტის წარმომადგენელმა და მიაწოდა ინფორმაცია სხდომის შესახებ, რომ სხდომა იქნებოდა 17:00 საათზე. რეალურად სხდომის საათი ყოფილა 15:00 საათი და მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ მან მოამზადა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. ჩაინიშნა სხდომა, სადაც მონაწილეობა მის გარდა სხვა იურისტმაც მიიღო. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ამის შემდეგ მას კლიენტი აღარ დაკავშირებია.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტმა მიმართა პოლიციას განცხადებით, მას ხელი არ შეუშლია, რადგან ეს წარმოადგენდა კლიენტის სურვილს, თუმცა განუმარტა, რომ ხელშეკრულების გაუქმება ხდებოდა სასარჩელო წარმოების წესით.

2.9 2019 წლის 03 დეკემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ჰონორარის სახით მიღებული თანხები ყველა აქვს მითითებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 მ. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 20 აგვისტოს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2015-2018 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არაკვალიფიციურად აწარმოა მისი საქმე, სწორად არ დააყენა მოთხოვნა, მის ბინას ვერ მოხსნა ყადაღა, ადვოკატის განმარტების გამო გამომძიებელმა მის საქმეზე შეწყვიტა

გამოძიება; ადვოკატმა მისგან ჰონორარის სახით მიიღო 1400 ლრი, რომლის სანაცვლო მომსახურება არ გაუწევია.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ა.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 8.5).

5.2.2 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 8.15).

5.3 კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის მიერ ცოდნის კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას და კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობას (ადოვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N122/18).

5.4 ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის კლიენტის ინტერესებისათვის და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, კლიენტის ინტერსების უპირატესობის გათვალისწინებით. (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N061/12).

5.5 კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს იმ სამართლებრივი რისკების შეფასებას, რომელიც კონკრეტული მტკიცებულებების გამოკვლევას და ამ მტკიცებულებათა კლიენტის კანონიერ ინტერესებთან შემხებლობას უკავშირდება (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N096/11).

5.6 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც

ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები). თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.7 მ. დ.-სა და ვ. ფ.-ს შორის 2015 წლის 16 მარტს დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება. ვ. ფ.-მ მითითებულ ვადაში არ შეასრულა თავისი ვალდებულება - არ გადაიხადა ნასყიდობის საგნის ღირებულება. ამასთან, მხარეთა შორის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ნაცვლად უნდა გაფორმებულიყო „ბეს“ ხელშეკრულება. აღნიშნულ საქმეზე მ. დ.-ს წარმომადგენელმა, ც. გ.-მ საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატ მ. ა.-ს.

5.8 მ. დ.-ს წარმომადგენელს ც. გ.-სა და ადვოკატ მ. ა.-ს შორის 2015 წლის 5 ნოემბერს დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ადვოკატმა აიღო ვალდებულება მომსახურება გაეწია მ. დ.-სათვის ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, აღნიშნული ხელშეკრულებით ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 700 ლარი. 2015 წლის 8 დეკემბერს მხარეთა შორის დაიდო კიდევ ერთი ხელშეკრულება, რომლითაც ადვოკატმა აიღო ვალდებულება მონაწილეობა მიეღო იუსტიციის სახლში ადმინისტრაციული საქმის განხილვაში. ამ საქმეზე ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 100 ლარი. 2016 წლის 23 აპრილის ხელშეკრულებით ადვოკატმა აიღო ვალდებულება შეედგინა სააპელაციო საჩივარი, რისთვისაც ჰონორარის სახით მიიღო 50 ლარი. მხარეთა შორის 2017 წლის 10 ივლისს გაფორმებულია NX მინდობილობა.

5.9 ადვოკატმა 2015 წლის 3 ნოემბერს ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 2015 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება N8X-03, რომლითაც დეპარტამენტმა შეაჩერა წარმოება. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო 2015 წლის 9 დეკემბრის ადმინისტრაციულ ორგანოში გამართულ ზეპირ მოსმენაში. 2015 წლის 14 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით მ. დ.-ს უარი ეთქვა 2015 წლის 3 ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2016 წლის 24 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრციული კოლეგიის გადაწყვეტილებით საქმეზე N3/X-15 არ დაკმაყოფილდა მ. დ.-ს სარჩელი. აღნიშნული განჩინება ადვოკატმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი და მ. დ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

5.10 2015 წლის 07 დეკემბერს ვ. ფ.-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. სასამართლომ 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებით საქმეზე NX-15 დააკმაყოფილა ვ. ფ.-ს განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით და ყადაღა დაედო მ. დ.-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მ. დ.-მ და მოითხოვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით მ. დ.-ს უარი ეთქვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

5.11 2015 წლის 18 დეკემბერს ვ. ფ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მ. დ.-ს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 3000 აშშ დოლარის და 56 ლარის გადახდა. მ. დ.-მ ამ საქმეზე წარადგინა შესაგებელი 2015 წლის 09 დეკემბერს. 2016 წლის 11 აპრილს მ. დ.-მ შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა 2015 წლის 16 მარტის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების გაუქმება და ვ. ფ.-სთვის მ. დ.-ს სასარგებლოდ 2000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება. შეგებებულ სარჩელში მოთხოვნილი იყო სახელმწიფო ბაჟის გადავადებაც. სხდომაზე მ. დ.-ს წარმომადგენლების დაგვიანებით გამოცხადების გამო, სასამართლომ საქმეზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

5.12 ადვოკატმა მოამზადა საჩივარი 2017 წლის 19 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. 2018 წლის 22 მარტს საქმეზე N2/X-15 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით მ. დ.-ს უარი ეთქვა საჩივრის

დაკმაყოფილებაზე და ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით 2018 წლის 01 მაისს, რომლის დაკმაყოფილებაზე ასევე უარი ეთქვა.

5.13 წარმოდგენილი საქმის მასალებით, კონკრეტულად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებებით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტისაგან ჰონორარის სახით მიიღო 850 ლარი (2015 წლის 5 ნოემბრის ხელშეკრულებით 700 ლარი, 2015 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულებით 100 ლარი, 2016 წლის 23 აპრილის ხელშეკრულებით 50 ლარი). რომლის სანაცვლო მომსახურება მას აქვს გაწეული მ. დ.-სათვის. შესაბამისად, ადვოკატს მიღებული არ აქვს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

5.14 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიზნად ისახავდა მ. დ.-სათვის სასურველი შედეგის დადგომას. ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ყავდა ყველა იმ საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელსაც მის სასარგებლოდ ახორციელებდა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კანონის 5(ა) და ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.15 მუხლების შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.15 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N110/19 ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/